სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

68214131362024

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N241091068

რეგისტრაციის თარიღი

22.08.2024 წ

ნოტარიუსი: ლელა ინწკირველი
მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. N21, IV სართული
ტელეფონი: 295-44-10

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო

სანოტარო აქტი
სპეციალური უფლებამოსილების მინიჭების
შესახებ

ორი ათას ოცდაოთხი წლის ოცდაორ აგვისტოს მე, ოთარ ზოიძეს, ნოტარიუს ლელა ინწკირველთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე ნოტარიუსს ქ. თბილისში, ლელა ინწკირველის სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №21, მე-4 სართული, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა _ ბატონმა **ტალ პინჰასმა** (დაბადებული 13.06.1966 წ. სსრკ-ში, ისრაელის მოქალაქე, პირადი №0-1728199-9, პასპორტის №40720492, გაცემული 05.05.2024 წ. მოქმედების ვადა: 04.05.2034 წ. გაცხადებული მისამართი: ისრაელი, ქ. აშდოდი, კინერეთის ქუჩა №33/79).

მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

ტალ პინჰასმა განაცხადა, რომ:

ა) იგი არის **შპს „მილენიუმის“** (რეგისტრაციის თარიღი: 31/03/2021 წ. საიდენტიფიკაციო №429654046, იურიდიული მისამართი: საქართველო, ვანის რაიონი, სოფელი მთისძირი, 1–ლი ქუჩა №60) დირექტორი და მოქმედებს მისი სახელით.

ბ) სურს, **შპს „მილენიუმის“** წარმომადგენლის უფლებამოსილება მიანიჭოს **შადიმან კორძაძეს** (დაბადებული 21.04.1978 წ. პირადი №17001000182) და **რევაზ ტყეშელაშვილს** (დაბადებული 20.05.1995 წ. პირადი №17001031697).

მან მოითხოვა შესაბამისი სანოტარო აქტის შედგენა და მიღება (დამოწმება სანოტარო წესით) ჩემ მიერ.

მე შევამოწმე **ლაშა შეყრილაძის** უფლებამოსილება შემდეგი დოკუმენტებით:

ა) ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან **შპს „მილენიუმის“** შესახებ (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების დრო: B21034734, 06/04/2021 20:57:23);

ბ) **შპს „მილენიუმის“** წესდება / პარტნიორთა შეთანხმება (ხელმოწერის ნამდვილობა დამოწმებული 30.03.2021 წ. ნოტარიუს ნანი ბარბაქაძის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №210291315).

შესაბამისად, ვადასტურებ **ტალ პინჰასის უფლებამოსილების უნაკლობას.**

მარწმუნებლის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენის შემდეგ შედგა შემდეგი აქტი:

„ტალ პინჰასმა (დაბადებული 13.06.1966 წ. სსრკ-ში, ისრაელის მოქალაქე, პირადი №0- 1728199-9, პასპორტის №40720492, გაცემული 05.05.2024 წ. მოქმედების ვადა: 04.05.2034 წ. გაცხადებული მისამართი: ისრაელი, ქ. აშდოდი, კინერეთის ქუჩა №33/79),

როგორც **შპს „მილენიუმის“** (რეგისტრაციის თარიღი: 31/03/2021 წ. საიდენტიფიკაციო №429654046, იურიდიული მისამართი: საქართველო, ვანის რაიონი, სოფელი მთისძირი, 1–ლი ქუჩა №60) დირექტორმა,

შადიმან კორძაძეს (დაბადებული 21.04.1978 წ. პირადი №17001000182) და
რევაზ ტყეშელაშვილს (დაბადებული 20.05.1995 წ. პირადი №17001031697),
რომელთაგან თითოეული შემდგომში მოხსენიებულია როგორც „მარწმუნებელი“,
მიანიჭა **შპს „მილენიუმის“** (რეგისტრაციის თარიღი: 31/03/2021 წ. საიდენტიფიკაციო №429654046) (შემდგომში მოხსენიებული როგორც „რწმუნებული“) რწმუნებულის უფლებამოსილება შემდეგი შინაარსით:

1. თითოეული რწმუნებული უფლებამოსილია, მეორე რწმუნებულთან ერთად და / ან მისგან დამოუკიდებლად / მისგან განცალკევებით:

ა) **გასხვისებისა და ვალდებულებებით დატვირთვის უფლების გარეშე №01.17.07.023.001 საკადასტრო კოდის მქონე** უძრავ ქონებასთან **და ამ კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე აშენებულ შენობა-ნაგებობასთან (შენობა-ნაგებობაში განთავსებულ ინდივიდუალურ ფართებთან)** დაკავშირებით მარწმუნებელი წარმოადგინოს **ნებისმიერ სუბიექტთან** (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ: სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თბილისის მერიის სატრანსპორტო კომპანიები, იუსტიციის სახლი, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, თბილისის მერიისა არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურები, თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექცია, თბილისის მერიის სხვა ნებისმიერი ორგანოები, თბილისის საკრებულო, სხვა კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები, მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ), ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, წყლის მიმწოდებელი სუბიექტები, სატრანსპორტო სამსახურები, სატრანსპორტო და დენდროლოგიური ექსპერტიზისა და დასკვნების გამცემი სუბიექტები, **სხვა ყველა სუბიექტი, რომლის მონაწილეობაც აუცილებელია მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი შენობა-ნაგებობების პროექტის შესათანხმებლად და მშენებლობის ნებართვის მისაღებად, დემონტაჟის ნებართვის მისაღებად**), გამოითხოვოს, მოიპოვოს და წარადგინოს დოკუმენტები, ცნობები, ინფორმაციები, შეათანხმოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, გაპ-ი, განაშენიანების რეგულირების გეგმა / განაშენიანების დეტალური გეგმა, სამშენებლო-არქიტექტურული პროექტი, კონსტრუქციული პროექტი, მიიღოს მშენებლობის ნებართვა, დემონტაჟის ნებართვა, ცვლილებები შეიტანოს არსებულ / შეთანხმებულ პროექტებსა და ნებართვებში, სხვა დოკუმენტებში, გადაიხადოს მომსახურების საფასური და სახელმწიფო ბაჟი, მოსაკრებელი და სხვა საჭირო თანხები, ატვირთოს დოკუმენტები და მიიღოს დოკუმენტები როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით;

ბ) მარწმუნებლის უფლებები და ვალდებულებები აღრიცხოს / დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში და ამ მიზნით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ), უზრუნველყოს ნებისმიერი უძრავი ქონების რეგისტრაცია / რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების/დაზუსტებების რეგისტრაცია, რეგისტრირებული უფლებების გაუქმება და ამ უფლებამოსილების განსახორციელებლად ყველა საჭირო მოქმედების შესრულება, ქონების რეალური ფართობის დადგენა და რეალური/ფაქტობრივი ფართობის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, ქონებასთან დაკავშირებული საკადასტრო გეგმის/აზომვითი ნახაზების მომზადება, ქონების / მშენებარე ფართების დაყოფა/გაყოფა ინდივიდუალურ ერთეულებად (მათ შორის, „განშლის გეგმის“ რეგისტრაცია), არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ფაქტის რეგისტრაცია, ქონების საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილება, წარადგინოს განცხადებები, შუამდგომლობები და დოკუმენტები საჯარო რეესტრში, მიიღოს/ჩაიბაროს მარწმუნებლის კუთვნილი დოკუმენტები საჯარო რეესტრისაგან, საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში წარმართოს ადმინისტრაციული საქმე და ამ უფლებამოსილების განსახორციელებლად მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რისი უფლება და ვალდებულებაც აქვს მარწმუნებელს (მათ შორის, უზრუნველყოს დადგენილი ხარვეზების გამოსწორება და ამ მიზნით წარმართოს შესაბამისი პროცესი);

გ) შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე აქტში, მაგრამ რაც აუცილებელი იქნება მინიჭებული უფლებამოსილების სრულფასოვნად განსახორციელებლად.

2. წინამდებარე აქტი მოქმედებს განსაზღვრული ვადით **ძალმოსილია ორი ათას ოცდაექვსი წლის პირველ სექტემბრამდე.**

3. რწმუნებული **არა აქვს უფლება:**

ა) მართოს და განკარგოს მარწმუნებლების საკუთრებაში არსებული ქონება;

ბ) წინამდებარე აქტით დადგენილი უფლებამოსილებანი სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს.

4. წინამდებარე აქტი შედგა 6 იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება სანოტარო ბიუროში, დანარჩენი გადაეცემა მარწმუნებელს.

5. წინამდებარე აქტი ძალმოსილებას იძენს სანოტარო წესით დამოწმებისთანავე.”

დანართები:

1) წინამდებარე აქტის ყველა ეგზემპლარს თან ერთვის დანართი 1 დოკუმენტი:

ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან **შპს „მილენიუმის“** შესახებ (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების დრო: B21034734, 06/04/2021 20:57:23);

2) სანოტარო არქივში დაცულ ეგზემპლარს დამატებით თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი:

შპს „მილენიუმის“ წესდება / პარტნიორთა შეთანხმება (ხელმოწერის ნამდვილობა დამოწმებული 30.03.2021 წ. ნოტარიუს ნანი ბარბაქაძის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №210291315).

სანოტარო მომსახურების ხარჯები (საფუძვლები: საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011 წ.) 31-ე და 39-ე მუხლები, მუხლები, საგადასახადო კოდექსის 159.1ბ და 166 მუხლები):

ა) სანოტარო მომსახურების საფასური: 35.40 ლარი (ნოტარიუსის საზღაური 30.00 ლარი; დღგ: 5.40 ლარი);

ბ) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 5.0 ლარი (დღგ-ს ჩათვლით);

სულ: 40.40 ლარი.

წინამდებარე აქტი მე, ნოტარიუსმა წავუკითხე მარწმუნებელს. მან წაიკითხა აქტი, განაცხადა, რომ იწონებს მას და ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა წინამდებარე აქტს.

ყოველივე ზემოთქმულს ვამოწმებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

მარწმუნებელი
შპს „მილენიუმი“
(დირექტორი ტალ პინჰასი)

ნოტარიუს ლელა ინწკირველთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე
ნოტარიუსი ოთარ ზოიძე

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B21034734, 06/04/2021 20:57:23

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს მილენიუმ
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	429654046
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	31/03/2021
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ვანის რაიონი, ს. მთისძირი, 1-ლი ქ., N 60

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: tkeshelashvilirevaz@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - პინჰას ტალ, 30162332, 0-1728199-9 /ისრაელი/

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
პინჰას ტალ, 30162332, 0-1728199-9 /ისრაელი/	100%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

აკინძულია 7 ფურცლად

GEORGIA NOTARY OTAR ZOIDZE

01011002172